ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №157

2019 წლის 16 დეკემბერი

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს №9 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 12.08.2014 წ., 010250020.35.160.016219) პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში – „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება“ შეტანილ იქნეს ცვლილება და დებულების მე-7 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ.ლ[1]“ ქვეპუნქტი:

„დ.ლ[1]) იღებს გადაწყვეტილებებს მუნიციპალურ ქონებაზე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სახელით ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ლევანი ონიანი**